აიჩჩიე მომავალი ნარკოტიკის გარეშე

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით
შპს “ფსიქიკური ჯანმრთელობის და
ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N21
ტელ: 230 03 29
ელ.ფოსტა: mhpa@mhpa.ge

აიჩჩიე
მომავალი
ნარკოტიკის
გარეშე

დანაშაულის პრევენციის ცენტრი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

HRU
ჯანმრთელობის კვლევის კაბინეტი

საინფორმაციო მასალა დაიბეჭდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროგრამის „ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული საფრთხეებისა და ზიანის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ ფინანსური მხარდაჭერით

რა არის ნარკოტიკი?

ნარკოტიკი არის მცენარეული წარმოშობის ან სინთეზური გზით მიღებული ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცვლის ადამიანის ხასიათს, ქცევას და შეგრძნებებს.

რას ნიშნავს ნარკოტიკზე დამოკიდებულება?

დამოკიდებულება არის ნარკოტიკის მიღების ძლიერი სურვილი. არსებობს ორი სახის დამოკიდებულება - ფიზიკური და ფსიქოლოგიური.

როგორ ვითარდება ნარკოტიკზე დამოკიდებულება?

ყველა ნარკოტიკული საშუალება ხშირი ან/და განმეორებითი მოხმარების შედეგად იწვევს დამოკიდებულებას.

რა ზიანს აყენებს ნარკოტიკის მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობას?

- მოქმედებს თავის ტვინზე და იწვევს მეხსიერების, კონცენტრაციის და აზროვნების უნარის დაქვეითებას
- იწვევს ფსიქიკურ აშლილობებს (დეპრესია, ჰალუცინაციები, ბოდვითი მდგომარეობა და სხვა)
- ნარკოტიკების ინექციური მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის სისხლის გზით გადამდები დაავადებების (აივ ინფექცია, B და C ჰეპატიტი) გადაცემის რისკს
- ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებას ხშირად თან ახლავს კანისა და რბილი ქსოვილების დაზიანებები (დაწყლულება, სხვადასხვა ინფექცია, ნეკროზი)
- მოზარდებში ნარკოტიკების მოხმარება იწვევს ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას
- ვითარდება ნარკოტიკზე დამოკიდებულება ე.წ. „ლომკა“, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან რთულია
- ნარკოტიკების მომხმარებლების სიცოცხლეს ხშირად საფრთხეს უქმნის ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზით მიღება ანუ ზედოზირება, რაც შეიძლება სიკვდილით დასრულდეს

რა ზიანს აყენებს ნარკოტიკის მოხმარება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?

- იწვევს ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას
  - იცვლება ადამიანის საზოგადოებასთან ურთიერთობა
  - ხშირია კონფლიქტები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან
  - ხდება ადამიანის იზოლაცია ოჯახისგან, მეგობრებისგან და ზოგადად საზოგადოებისგან
- იწვევს ეკონომიკური კეთილდღეობის გაუარესებას
  - ნარკოტიკზე დამოკიდებულების ზრდასთან ერთად, იზრდება ნარკოტიკის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები
  - ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანი ხდება ნაკლებად პროდუქტიული, რამაც შესაძლოა სამსახურის დაკარგვა გამოიწვიოს

ნარკომანია – მდგომარეობა თუ დაავადება?

ნარკომანია ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო გამოყენებით განპირობებული დაავადებაა.

რა არის აბსტინენცია ანუ ე.წ. „ლომკა“?

ფიზიკური ან/და ფსიქიკური დარღვევების სინდრომი, რომელიც ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს უვითარდებათ, მას შემდეგ, რაც ისინი წყვეტენ ნარკოტიკის მიღებას ან ამცირებენ მის დოზას.

ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა საქართველოში

1) დეტოქსიკაცია - აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობა და მოკლევადიანი პირველადი რეაბილიტაციის პროგრამა ანუ „უნარკოტიკო ცხოვრებაზე“ ორიენტირებული მკურნალობა
2) ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპია (ოჩთ) - ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკების (მაგ.: ჰეროინის) ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტით - მეთადონით ან ბუპრენორფინით ჩანაცვლება

ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“) და კერძო დაწესებულებებში.

აირჩიე მომავალი ნარკოტიკის გარეშე